საქართველო
ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება:**გ-61.61220892**
თარიღი:**30/03/2022**

განკარგულება N 19

ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს 2022-2024 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს კანონის „გენდერული თანასწორობის შესახებ“ მე-13 მუხლისა და „ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნისა და საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ“ ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 სექტემბრის N20 დადგენილების მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

მუხლი 1. დამტკიცდეს ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს 2022-2024 წლების სამოქმედო გეგმა. (დანართი N1 თან ერთვის)

მუხლი 2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს „ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს 2019-2021 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 30 ოქტომბრის #40 67 განკარგულება.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით სამტრედიის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. სამტრედია, ძმები ნინუების ქ. N1).

მუხლი 4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ვალერ ბახტაძე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/

ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

ელექტრონული შტამპი